ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3799657

ნომერი: AR1561521

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 30.01.2018

გაცნობის თარიღი : 31.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ფონიჭალა , N 65 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ანთაძე პ/ნ 01018000600
- თბილისი ლარსის ქ. N 3

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ჯი-ემ-პი" კოდი: 211385268

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17/11/2008წ წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე
2017 წლის 30 ნოემბერს AR1561521 განცხადებით სამსახურს მომართა განმცხადებელმა გიორგი ანთაძემ და მოითხოვა N1120 (17/11/2008წ.) ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ახალი ობიექტის, დამხმარე ნაგებობების მიწისქვეშა საწვავის ავზის დამატება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 17.11.2008 წელს ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში ფარმაცევტული

ქარხნის რეკონსტრუქციის მიზნით დადგინდა #1120 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აქტი გაცემულ იქნა 151117 კვ.მ ფართობის, #81.05.02.138 საკადასტრო ერთეულზე. არქიტექტურის სამსახურის 01.03.2016 წ. #2452649 და 23.02.2017 წ. №3116070 ბრძანებებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ფარმაცეპტული ქარხნის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება), სასაწყობე შენობა–ნაგებობა და დამხმარე ნაგებობები (მიწისზედა რეზერვუარები).
ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17/11/2008 წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის - მიწისქვეშა საწვავის ავზის დამატებასთან დაკავშირებით.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია განხორციელდეს სამსახურის 17/11/2008წ წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილება და საპროექტო ობიექტად ფარმაცეპტული ქარხნის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენები), სასაწყობე შენობა–ნაგებობა და დამხმარე ნაგებობების (მიწისზედა რეზერვუარები), საწვავის მიწისქვეშა ავზის დაფიქსირება.
ამასთან, ამასთან სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის 17/11/2008წ წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში გაკეთდეს მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას;

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17/11/2008წ წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაემატოს: მიწისქვეშა საწვავის ავზი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17/11/2008წ წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად.
3. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17/11/2008წ წ. N1120 ქალაქმშენებლობით პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: საჭიროების შემთხვევაში – მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ ოდენობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.